ს ა გ რ ა ნ ტ ო ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა № 1/2014

(„საქართველოში ცხელებით მიმდინარე დაავადებების ზედამხედველობის“ პროგრამის ფარგლებში კოოპერატიული კვლევის დაფინანსების II ფაზის აღსრულების შესახებ)

თბილისი 10 აპრილი 2014 წ.

ერთის მხრივ, სსიპ „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“, წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის ამირან გამყრელიძის სახით (შემდგომში ტექსტში -**„შემსრულებელი“**) და მეორეს მხრივ, „ტექნოლოჯი მენეჯმენტ კომპანი ინკ.-ის წარმომადგენლობა საქართველოში“, წარმოდგენილი მისი დირექტორის გიორგი ბეგიაშვილის სახით (შემდგომში ტექსტში **„დონორი“**), ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

ცხელებით მიმდინარე დაავადებების კვლევაში „შემსრულებლისა“ და „დონორის“ მოვალეობები, „შემსრულებლის“ მიერ დადგენილი კვლევის მონაწილე პერსონალისთვის მომსახურების საზღაურის გადახდის პირობები და „დონორის“ მიერ „შემსრულებლისთვის“ ამავე კვლევის შესრულების მიზნით ლაბორატორიული მასალების გადაცემა.

მუხლი 2. ხელშეკრულების რეგულირების სამართლებრივი საფუძველი

მხარეთა შორის ურთიერთობები რეგულირდება „შემსრულებელს“, „ვოლტერ რიდის არმიის კვლევით ინსტიტუტსა“ და „აშშ არმიის ინფექციურ სნეულებათა კვლევით ინსტიტუტს“ შორის გაფორმებული "საქართველოში ცხელებით მიმდინარე დაავადებების ზედამხედველობის კვლევის შესახებ“ ჩარჩო შეთანხმების, წინამდებარე ხელშეკრულების და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 3. მხარეთა უფლება–მოვალეობები

1. „დონორი“ ვალდებულია:

   ა) დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;

   ბ) ყოველთვიურად გადაიხადოს „შემსრულებლის“ მიერ დადგენილი, კვლევაში მონაწილე პერსონალისთვის მომსახურების საზღაური;

   გ) უზრუნველყოს „შემსრულებელი“ კვლევისათვის საჭირო ლაბორატორიული მასალებით.

2. „დონორი“ უფლებამოსილია:

   მოითხოვოს „შემსრულებლისაგან“ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დროული, ხარისხიანი და ჯეროვანი შესრულება.

3. „შემსრულებელი“ ვალდებულია:

   ა) დაადგინოს კვლევაში მონაწილე პერსონალის ვინაობა ქვემოთ მოცემული თანამდებობების მიხედვით და უზრუნველყოს მათზე დაკისრებული მოვალეობების შესრულება „დონორის“ მიერ განსაზღვრული გეგმისა და სამუშაოს აღწერილობის მიხედვით.

   თბილისი:

   1) ბაქტერიოლოგი -

2) ბაქტერიოლოგი -
3) სეროლოგი -
4) სეროლოგი -
5) სეროლოგი -
6) წამყვანი ეპიდემიოლოგი/მონაცემთა ბაზის მენეჯერი -
7) მონაცემთა შემტანი -

ქუთაისის ზონალური დიაგნოსტიკური ლაბორატორია
1) ბაქტერიოლოგი
2) სეროლოგი

ბ) უზრუნველყოს კვლევაში მონაწილე პერსონალისთვის მომსახურების საზღაურის გადახდა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული განაკვეთის შესაბამისად, „დონორის" მიერ გადახდილი მოცულობით და მხოლოდ საშემოსავლო გადასახადი დააკავოს შესაბამის საგადასახადო ორგანოში გადარიცხვის მიზნით;
გ) ლაბორატორიული მომსახურების გასაწევად საჭირო მასალები მიიღოს და ჩაიბაროს კანონით დადგენილი წესით;
დ) ხარისხიანად შეასრულოს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი სამუშაო ორივე მხარისთვის მისაღებ გონივრულ ვადაში;
ე) დაიცვას გაწეული მომსახურების შედეგად მიღებული ინფორმაციის კონფიდენციალურობა.

4. „შემსრულებელი" უფლებამოსილია:
ა) მოითხოვოს დონორისაგან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დროული და ჯეროვანი შესრულება;

მუხლი 4. მომსახურების საზღაური და ანგარიშსწორების პირობები
1. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების საერთო ღირებულება არ აღემატება 40000 (ორმოციათასი) ლარს. დამატებით „დონორი" „შემსრულებელს" გადასცემს კვლევისთვის საჭირო სახარჯ მასალას, რომლის რაოდენობა განისაზღვრება ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე და რომლის საერთო ღირებულება არ აღემატება 60000 (სამოციათასი) ლარს.
2. მომსახურების საზღაური განისაზღვრება შემდეგნაირად:
ა) ბაქტერიოლოგი - ერთ საათში 5,47 (ხუთი მთელი ორმოცდაშვიდი მეასედი) აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში;

ბ) სეროლოგი - ერთ საათში 5,47 (ხუთი მთელი ორმოცდაშვიდი მეასედი) აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში;

გ) მონაცემთა შემტანი - ერთ საათში 5,47 (ხუთი მთელი ორმოცდაშვიდი მეასედი) აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში;

დ) წამყვანი ეპიდემიოლოგი/მონაცემთა ბაზის მენეჯერი - ერთ საათში 6,25 (ექვსი მთელი ოცდახუთი მეასედი) აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში.

3. მხარეთა შორის ანგარიშსწორება ხორციელდება პერსონალის მიერ წარდგენილი სამუშაო დროის აღრიცხვის ფურცლის საფუძველზე, არაუგვიანეს მომდევნო თვის 15 რიცხვისა.

4. ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ფორმით, ეროვნულ ვალუტაში, გადახდის დღეს არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის შესაბამისად.
5. სამუშაო დროის აღრიცხვის ფურცელი დამოწმებული უნდა იყოს „დონორის"უფლებამოსილი პირის მიერ.

მუხლი 5. მხარეთა პასუხისმგებლობა

1. მხარეები პასუხს აგებენ მათ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის, აგრეთვე ხელშეკრულების ცალმხრივად მოშლის შემთხვევაში, ან საკუთარი ნებით ხელშეკრულებიდან გასვლისას, თუ ამ ქმედებამ მეორე მხარეს მიაყენა მატერიალური ზიანი. პასუხისმგებლობა ითვალისწინებს მიყენებული მატერიალური ზიანის სრული მოცულობით ანაზღაურებას.

მუხლი 6. ხელშეკრულების შეწყვეტის პირობები

1. ხელშეკრულება ავტომატურად წყდება:
   ა) მხარეების მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებისთანავე;
   ბ) შემსყიდველი იურიდიული პირის ლიკვიდაციის შემთხვევაში, თუ მას არ ჰყავს უფლებამონაცვლე.
2. მხარეებს შეუძლიათ ურთიერთშეთანხმებით, ორმხრივად შეწყვიტონ წინამდებარე ხელშეკრულება, მისი მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე.
3. მხარეებს უფლება აქვთ ცალმხრივად შეწყვიტონ ხელშეკრულება მისი მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე ან უარი განაცხადონ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე, თუ მეორე მხარე არ ასრულებს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებულ მოვალეობას.

მუხლი 7. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

1. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა შეიძლება მხოლოდ ორივე მხარის წინასწარი წერილობითი შეთანხმებით.
2. ხელშეკრულებაში შეტანილი ცვლილება წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 8. დავების გადაწყვეტა

ხელშეკრულებიდან გამომდინარე წარმოშობილ დავებს მხარეები წყვეტენ ურთიერთშეთანხმებით. შეუთანხმებლობის შემთხვევაში, მხარეები მიმართავენ საქართველოს საერთო სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობთ დადგენილი წესით.

მუხლი 9. ფორს მაჟორი

ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, მხარეები თავისუფლდებიან მეორე მხარისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისაგან, თუ ეს გამოწვეულია ფორს-მაჟორული გარემოებით და თუ ფორს მაჟორულ გარემოებას უშუალო გავლენა ქონდა ვალდებულების შესრულებაზე.

მუხლი 10. დასკვნითი დებულებები

1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს 2014 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

2. ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან.
3. შემთხვევები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე ხელშეკრულებით მოწესრიგდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესით.

მხარეთა რეკვიზიტები:

„შემსრულებელი“	„დონორი“
სსიპ „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“, ს/კ 211324351; **მის.:** თბილისი, ასათიანის ქ. 9; **მომსახურე ბანკი:** სს „თი ბი სი ბანკი“, ბანკის კოდი TBCBGE22; ა/ა GE64TB0600000000345017	„ტექნოლოჯი მენეჯმენტ კომანი ინკ-ის“ წარმომადგენლობა საქართველოში ს/კ 205006438 მის. თავისუფლების 4 სს თიბისი ბანკის სათაო ბანკი; ბანკის კოდი: TBCBGE22 ა/ა GE57TB0800000001467230
გენერალური დირექტორი **ამირან გამყრელიძე** _____	**დირექტორი** **გიორგი ბეგთაშვილი** _____